ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 90

2006 წლის 14 დეკემბერი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად:

1. რეორგანიზებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებელება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებელება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თანდართული დებულება.
3. **“აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) საშტატო ერთეულით.”**(ცვლილება: 25.12.13 წ. N32)
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2004 წლის 2 სექტემბრის №22 დადგენილება.
5. დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **ლევან ვარშალომიძე**

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის 2006 წლის „14“ დეკემბრის

№90 დადგენილებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა

და კურორტების დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომში - მთავრობა) საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებს საქართველოს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმისა და კურორტების მოვლა-შენარჩუნებისა და განვითარების დარგში.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოს კანონებით, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, ამ დებულებითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.
3. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია მთავრობისა და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების წინაშე.
4. **„დეპარტამენტს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა, ბეჭედი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით."** (ცვლილება: დადგენილება 26.11.08 წ).
5. დეპარტამენტი ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.
6. **„დეპარტამენტის იურიდიული მისამართია: ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86."** (ცვლილება: დადგენილება N41. 08.12.09 წ).

მუხლი 2. დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წამოადგენს:

   ა) ტურისტული და საკურორტო რესურსების შენარჩუნებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავება და მათი რეალიზაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

   ბ) ტურიზმისა და კურორტების პერსპექტიული განვითარების, მისი კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველობის გაზრდის რეკომენდაციათა მომზადება;

   გ) ტურისტული და საკურორტო მომსახურების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, მისი განზოგადება და გამოყენება;

   დ) ტურიზმისა და კურორტების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

   ე) ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლების დაცვა-შენარჩუნების მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება და წარდგენა;

ზ) დაინტერესებულ უწყებებთან ერთად ტურისტული და საკურორტო რესურსების ტურისტებით დატვირთვის რეჟიმის შემუშავება და მასზე კონტროლის განხორციელება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

თ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმისა და კურორტების დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზი და მისი გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

ი) ტურიზმისა და კურორტების სფეროში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

კ) ტურიზმისა და კურორტების სფეროში ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის მექანიზმების შემუშავება, კორუფციის ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების შესწავლა და მათი აღმოფხვრისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ლ) ტურიზმისა და კურორტების დარგში შიდა სამომხმარებლო ბაზრისა და მომსახურების სფეროს განვითარებისათვის წინადადებათა მომზადება და ხელშეწყობა მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით;

მ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ახალი ტურისტული და საკურორტო ობიექტების შექმნის მიზნით წინადადებების შემუშავება და წარდგენა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში ტურიზმის სხვადასხვა სახეობათა განვითარების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ო) ტურისტული და საკურორტო საქმიანობის გაფართოება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, მოქალაქეთა გაჯანსაღების, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების მიზნით;

პ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტული ცენტრებისა და კურორტების რეკლამის მიზნით გამოფენების, ბაზრობების, ტურისტული ბირჟების მოწყობა, აგრეთვე საზღვარგარეთ ჩატარებულ ანალოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ჟ) ტურიზმისა და კურორტების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;

რ) დარგის სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და სრულყოფის უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ სხვა ამოცანებსა და ფუნქციებს.

მუხლი 3. დეპარტამენტის კომპეტენცია

დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად დეპარტამენტი თავისი საქმიანობის სფეროში უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს და გამოსცეს სამართლებრივი აქტები;

ბ) შეიმუშაოს და მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარადგინოს საკითხები ტურიზმისა და კურორტების განვითარების სფეროში არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

გ) შექმნას სახელმწიფო დაწესებელებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით სხვადასხვა სამუშაო ჯგუფები ცალკეულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით;

„გ[1]. დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით შექმნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.“ (დამატება „გ[1]"27.01.09 წ დადგენილება);

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე) წარმართოს საკადრო საკითხები, უზრუნველყოს დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა ატესტაცია;

ვ) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ზ) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, საჩივრები, წინადადებები და დროულად მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

თ) გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ი) გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში;

კ) პერიოდულად მოახსენოს მთავრობას თავისი საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ;

ლ) განახორციელოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. **“დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.“** (ცვლილება 05.07.11 წ. დადგენილება N31).

2. დეპარტამენტის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს დეპარტამენტს სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ბ) წარმართავს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

გ) უშუალოდ ან დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით წყვეტს დეპარტამენტის ამოცანებით, ფუნქციებით და უფლებამოსილებით გათვალისწინებულ საკითხებს. განსაზღვრავს მოადგილისა და სხვა თანამდებობის პირების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას;

დ) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ე) დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს;

ვ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე;

ზ) შეაქვს წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე, პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და ფულადი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

3. **"დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, მისი ადგილზე არ ყოფნისას ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე არ ყოფნისას, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე".** (ცვლილება 05.07.11 წ. დადგენილება N31).

4. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, ასრულებს დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 5.დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები

1. **"დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:**

ა) სტატისტიკის განყოფილება;

ბ) მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილება;

გ) ადმინისტრაციული განყოფილება;

დ) ტურისტული პროდუქტისა და სერვისის განყოფილება;

ე) ბუღალტერია;

ვ) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ონლაინ პროექტების განყოფილება."

(ცვლილება: 25.12. 13 წ. N32).

2. დეპარტამენტის საშტატო განრიგს ამ დებულებისა და სტრუქტურის შესაბამისად ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

3. „დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები:

ა) სტატისტიკის განყოფილება:

ა.ა) აგროვებს და აანალიზებს ტურიზმის სფეროში სტატისტიკურ მონაცემებს, ატარებს შესაბამის კვლევებს და აწარმოებს ეკონომიკურ ანალიზს;

ა.ბ) განსაზღვრავს სტატისტიკური დაკვირვების სახეობებს, დაკვირვების ობიექტთა წრეს, პერიოდულობას, მონაცემთა წარმოდგენის ფორმასა და ვადებს;

ა.გ) ახორციელებს სტატისტიკურ მონაცემთა გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ცხრილების შემუშავებას და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

ა.დ) უზრუნველყოფს შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემთა კომფედენციალობას, თუ ის იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას.

ბ) მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილება:

ბ.ა) ხელს უწყობს სხვადასხვა უცხოელი სპეციალისტებისა და ექსპერტების მოწვევას ქვეყნის გასაცნობად, შემდგომში ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით;

ბ.ბ) ხელს უწყობს უცხოელი ჟურნალისტებისა და ტუროპერატორებისათვის რეგიონში პრესტურებისა და გაცნობითი ტურების მოწყობას;

ბ.გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის მონაწილეობას უცხოეთში მოწყობილ გამოფენებში, ბაზრობებში, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში;

ბ.დ) აწარმოებს სარეკლამო და საინფორმაციო მასალების შეგროვებას, უზრუნველყოფს სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქტების მომზადებასა და გავრცელებას;

ბ.ე) უზრუნველყოფს ტურისტული ბაზრების მარკეტინგულ კვლევებს და მათი ანალიზის საფუძველზე ახდენს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

ბ.ვ) ხელს უწყობს ტურიზმისა და კურორტების განვითარების საკითხებზე საერთაშორისო სემინარების, კონფერენციების, გამოფენა-ბაზრობების, თათბირებისა და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებას;

ბ.ზ) ახორციელებს რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე;

ბ.თ) აწარმოებს სარეკლამო კამპანიებს მიზნობრივ ბაზრებზე, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

გ) ადმინისტრაციული განყოფილება:

გ.ა) ახორციელებს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

გ.ბ) საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ახორციელებს დეპარტამენტში შემოსული ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებასა და მოძრაობას;

გ.გ) ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარის დავალებების შესრულების კონტროლს;

გ.დ) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას;

გ.ე) კოორდინაციას უწევს საკადრო საკითხების რეგულირებაში;

გ.ვ) ახდენს აპარატის საქმეთა ნომენკლატურის შემუშავებას, საქმეთა შენახვისა და ჩანაწერების ორგანიზებას;

გ.ზ) ახორციელებს კონტროლს დეპარტამენტის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ არქივისათვის ჩასაბარებელ საქმეთა ფორმირებასა და გაფორმების სისწორეზე;

გ.თ) უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების მიღებას, განხილვას, საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებზე გადაგზავნას სათანადო რეაგირებისათვის;

გ.ი) ორგანიზებას უწევს შემოსული დოკუმენტების დროულ განხილვასა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენას;

გ.კ) უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვას, ორგანიზებას, განხორციელებას და კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების წარმოებას.

დ) ტურისტული პროდუქტისა და სერვისის განყოფილება:

დ.ა) შეიმუშავებს წინადადებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნის თაობაზე;

დ.ბ) ახორციელებს ახალი ტურისტული პროდუქტების განახლებას და გაუმჯობესებას;

დ.გ) უზრუნველყოფს აჭარის ტერიტორიაზე მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალისათვის სემინარების და ტრენინგების ჩატარებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

დ.დ) შეისწავლის ტურისტულ-საკურორტო მომსახურების სფეროში უცხო ქვეყნების გამოცდილებას, ახდენს მის განზოგადებას და გამოყენებას;

დ.ე) ახორციელებს სხვადასხვა სახის კვლევებს ტურისტული სერვისის ხარისხის შესახებ და ამ კვლევების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს მისი გაუმჯობესების ხერხებს;

დ.ვ) უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გახდეს კონკურენტუნარიანი მომსახურების სფეროში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;

დ.ზ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ადგილებისა და ღირსშესანიშნაობების მისასვლელებთან საინფორმაციო დაფებისა და საგზაო ნიშნულების განთავსებასა და მონიტორინგს;

დ.თ) შეიმუშავებს, ტურისტული და საკურორტო რესურსების შენარჩუნებისა და განვითარების ძირითად მიმართულებებს;

დ.ი) ამზადებს რეკომენდაციებს ტურიზმისა და კურორტების პერსპექტიული განვითარების, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის თაობაზე;

დ.კ) ტურიზმის სახეების მიხედვით ახდენს ტურისტული მარშრუტების შემუშავებას;

დ.ლ) შეიმუშავებს წინადადებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი ტურისტული და საკურორტო ობიექტების შექმნის თაობაზე.

ე) ბუღალტერია:

ე.ა) უზრუნველყოფს საბუღალტრო აღრიცხვის სწორ ორგანიზაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე.ბ) ახორციელებს კონტროლს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე;

ე.გ) ახორციელებს კონტროლს ეკონომიკურ მოვლენაზე დროულად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებაზე;

ე.დ) ახორციელებს ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვას ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით;

ე.ე) უზრუნველყოფს მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების დროულ დარიცხვას და კონტროლს გაცემაზე;

ე.ვ) უზრუნველყოფს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრულ და დროულ აღრიცხვას;

ე.ზ) მონაწილეობს არაფინანსური, ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში და აღრიცხვაში ასახავს ინვენტარიზაციის შედეგებს;

ე.თ) უზრუნველყოფს დამტკიცებული ფორმით ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენას;

ე.ი) უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვას და არქივში ჩაბარებას;

ვ) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ონლაინ პროექტების განყოფილება:

ვ.ა) უზრუნველყოფს დეპარტამენტის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას, ტექნიკურ ზედამხედველობას და მის სრულფასოვანი ფუნქციონირებას;

ვ.ბ) ახორციელებს ინტერნეტმომსახურების ხარისხის მონიტორინგს, არეგულირებს ურთიერთობებს ინტერნეტ პროვაიდერებთან;

ვ.გ) ახორციელებს ინფორმაციის დამუშავებას და დეპარტამენტის ვებგვერზე (გვერდებზე) განთავსებას. ასევე, განთავსებული ინფორმაციის მუდმივ განახლებას;

ვ.დ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის ვებგვერდის (გვერდების) ადმინისტრირებას და მუდმივ განვითარებას. ასევე, მის პოპულარიზაციას სოციალური მედიატექნოლოგიების გამოყენებით;

ვ.ე) უზრუნველყოფს ვებგვერზე (გვერდებზე) განთავსებულ ინფორმაციასთან მომხმარებლების წვდომას და შეუფერხებელ მუშაობას;

ვ.ვ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობას, პროგრამულ უზრუნველყოფას და მათ განახლებას;

ვ.ზ) ახორციელებს რეგიონის პოპულარიზაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების და ონლაინპროექტების გამოყენებით;

ვ.თ) ახორციელებს დეპარტამენტის მიერ ინტერნეტსივრცეში განხორციელებული აქტივობების კონტროლსა და მონიტორინგს.“

(ცვლილება: 25.12. 13 წ. N32)

მუხლი 6. დეპარტამენტის ქონება

დეპარტამენტის ქონებას შეადგენს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, რომელიც აისახება დეპარტამენტის დამოუკიდებელ ბალანსში.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.
2. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.